



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი (ელგუჯა) გვაზავა, ბატონები თეიმურაზ მჟავია, თამაზ ხუბუა, ჯემალ გამახარია, ანზორ წოწონავა. გაიმართა სტუმრების შეხვედრა უნივერსიტეტის პირველკურსელებთან და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და მისმა თანმხლებმა პირებმა სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს სტუდენტებს, ისაუბრეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პრიორიტეტებსა და პერსპექტივებზე, რომელიც ისახება კარგი აკადემიური მოსწრების მქონე თითოეული სტუდენტისთვის. დასასრულს, ბატონმა გიორგი გვაზავამ ამომწურავი პასუხი გასცა სტუდენტების შეკითხვებს აფხაზეთის პრობლემატიკისა და საუნივერსიტეტო თემატიკის გარშემო.